სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები შოვსა და გურიაში განვითარებულ სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას ითხოვენ

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ვეხმიანებით 2023 წლის აგვისტოში რაჭასა და 2023 წლის სექტემბერში გურიაში მომხდარ ბუნებრივ კატასტროფებთან დაკავშირებულ მოვლენებს და ვითხოვთ, ჩატარდეს ეფექტიანი გამოძიება. საქართველოში ბოლო 2 თვის განმავლობაში განვითარებულ ორ მასშტაბურ და დამანგრეველ სტიქიურ მოვლენას რაჭასა და გურიაში 40-მდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. გახშირებული ბუნებრივი კატასტროფები და მათთან გასამკლავებლად ქვეყანაში არსებული არაეფექტური სისტემა საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, სიცოცხლესა და განვითარებას. ამიტომ, შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისგან ვითხოვთ პასუხებს ისეთ საკვანძო კითხვებთან დაკავშირებით, თუ რამ გამოიწვია რაჭისა და გურიის ტრაგედიები, რატომ ვერ უზრუნველყო სახელმწიფომ ადამიანების უსაფრთხოება, შეიძლებოდა თუ არა ადამიანური მსხვერპლის თავიდან არიდება, ვის უნდა დაეკისროს პასუხიმგებლობა, რა ხარვეზები არსებობს უსაფრთხოების სფეროში არსებულ კანონმდებლობასა და პოლიტიკის დოკუმენტებში და რა უნდა გაკეთდეს სამომავლოდ მსგავსი საფრთხეების თავიდან ასარიდებლად.

1. **ქვეყანაში არსებული გარემოდაცვითი პოლიტიკის ხარვეზები**

უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს, რატომ არ არსებობს ქვეყანაში ადრეული გაფრთხილების სისტემები, რომლებიც აუცილებელია პირთა უსაფრთხოების დასაცავად ბუნებრივი კატასტროფებისაგან. ამ სისტემების შექმნა და დანერგვა 2017-2020 წლების კატასტროფის რისკის შემცირების სტრატეგიით განსაზღვრულ ერთ-ერთ მიზანსა და „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვალდებულებას წარმოადგენდა.[1] ადრეული გაფრთხილების სისტემა სხვადასხვა კომპონენტისგან შედგება.[2] მათ შორის, რისკების იდენტიფიცირების, გარემოს მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგის, საფრთხეების შესახებ მოსახლეობის დროული ინფორმირებისა და ამ საფრთხეზე დროული რეაგირების კომპონენტებისგან. აუცილებელია, დადგინდეს, რამდენად ხდება გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ რისკების იდენტიფიცირება და მონიტორინგი, რატომ არ აქვს ქვეყანას რისკის ზონებში ადრეული გაფრთხილების სისტემები მაშინ, როდესაც გარემოს ეროვნული სააგენტოს 2021 წლის გეოლოგიური ბიულეტენის მიხედვით, შოვის ინფრასტრუქტურა სტიქიური გეოლოგიური პროცესებით განსაკუთრებით დაძაბულ უბნებს მიეკუთვნება[3] და რამდენად არის მზად საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ეფექტიანი და დროული რეაგირებისთვის.

---

[1] სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი.

[2] WMO, “Overview of the Early Warnings for All: Executive Action Plan 2023–2027”, ხელმისაწვდომია: https://public.wmo.int/en/resources/bulletin/overview-of-early-warnings-all-executive-action-plan-2023%E2%80%932027, ბოლო ნახვა: 14.09.2023.

[3] მწვანე ალტერნატივა, „მწვანე ალტერნატივას განცხადება შოვში არსებული სტიქიური გეოლოგიური პროცესების საფრთხის შესახებ გამოქვეყნებული დოკუმენტის თაობაზე“ (06 აგვისტო, 2023),

ამასთან, აუცილებელია, შეფასდეს, პასუხობს თუ არა ქვეყანაში არსებული ბუნებრივი კატასტროფების რისკის მართვის სისტემა თანამედროვე გამოწვევებს, ასახავს თუ არა ის გაეროს 2015-2030 წლის „კატასტროფის რისკის შემცირების სენდაის სამოქმედო ჩარჩო-პროგრამით“ განსაზღვრულ პრინციპებს, მიდგომებსა და მიზნებს, ქმნის თუ არა „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი ადამიანების უსაფრთხოების დაცვის გარანტიებს, სათანადოდ არის თუ არა შედგენილი სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმა და რამდენად ასრულებენ კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები.

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ბუნებრივი კატასტროფების რისკების მართვის ყველა ეტაპზე - პრევენცია, მზადყოფნა, რეაგირება და აღდგენა - ძირითადი პასუხისმგებელი ორგანო არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.[4] მთელი რიგი ვალდებულებები აკისრიათ, ასევე, საქართველოს მთავრობას, სხვადასხვა სამინისტროსა და მუნიციპალიტეტებს.[5]

2017-2020 წლებში საქართველოს ჰქონდა კატასტროფის რისკის შემცირების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ის ეყრდნობოდა „საქართველოს საფრთხეების შეფასების 2015-2018 წლის დოკუმენტს“. სტრატეგიის მიზანი საქართველოში ბუნებრივი კატასტროფის რისკების იდენტიფიცირება და მათი სათანადოდ მართვის უზრუნველყოფა იყო. აღსანიშნავია, რომ ამ დოკუმენტების განახლებული ვარიანტები ამ ეტაპზე არ არსებობს, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი ეყრდნობა მოძველებულ ინფორმაციას ბუნებრივი კატასტროფების რისკებისა და საფრთხეების შესახებ. კლიმატის ცვლილების გამო კი ეს რისკები და საფრთხეები დღითიდღე მზარდია, ბუნებრივი კატასტროფები სულ უფრო და უფრო ინტენსიური ხდება და ამიტომ აუცილებელია, რომ კონკრეტული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები ეყრდნობოდეს სწორედ განახლებულ ინფორმაციას. შესაბამისად, უნდა დადგინდეს, რატომ არ აქვს სახელმწიფოს განახლებული ეს დოკუმენტები და, ამასთან, შესაფასებელია, რამდენად შესრულდა სტრატეგიით განსაზღვრული მიზნები.

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანს ადამიანების უსაფრთხოებისა და სიცოცხლის დაცვა წარმოადგენს. შოვსა და გურიაში განვითარებულმა მოვლენებმა კი 40-მდე ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. შესაბამისად, აუცილებელია, დადგინდეს კონკრეტული მიზეზი, თუ რამ გამოიწვია ასეთი მსხვერპლი და შესაძლებელი იყო თუ არა მისი თავიდან არიდება სახელმწიფო სტრუქტურების გამართული, კანონთან შესაბამისი, კოორდინირებული და სწრაფი რეაგირების პირობებში. ამისთვის, უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საგანგებო მართვის გეგმები[6], აქვთ თუ არა მუნიციპალიტეტებს

ხელმისაწვდომია: https://greenalt.org/mwvane-alternativas-ganckhadeba-shovshi-ganvitarebul-movlenebze/, ბოლო ნახვა: 15.09.2023.

[4] “სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-4 მუხლი.

[5] იქვე.

[6] „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-5 მუხლი.

უსაფრთხოების პასპორტები და რამდენად პასუხობს ისინი თანამედროვე გამოწვევებს.[7] უნდა შეფასდეს, რამდენად სწრაფი და ეფექტიანი იყო და შეესაბამებოდა თუ არა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ მიღებული რეაგირების ზომები „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონითა და „ეროვნული უსაფრთხოების გეგმით“ განსაზღვრულ პირობებსა და წესებს. ამასთან, უნდა დადგინდეს, რატომ არ არსებობს ქვეყანაში სამაშველო ოპერაციებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები[8] და რატომ არ მიმართა საქართველოს მთავრობამ დახმარებისთვის მეზობელ ქვეყნებს.[9]

- **სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, გარემოს ეროვნულ სააგენტოს, ონის, ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების მერიებს, მოგვაწოდონ ამომწურავი, შესაბამისი დოკუმენტებით დასაბუთებული პასუხები ყველა საკვანძო კითხვასთან დაკავშირებით, რათა სათანადოდ იქნეს გარემოებები შესწავლილი, გამოიკვეთოს კონკრეტული პირების პასუხისმგებლობა და სამომავლოდ თავიდან იქნას აცილებული ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული მსხვერპლი.**

2. **გამოძიების პროცესში გამოვლენილი ხარვეზები**

შოვში განვითარებულ მოვლენებსა და ადამიანთა გარდაცვალების ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე და 240-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს ადამიანის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას და სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას.[10]

წარსულში განვითარებულმა მსგავსმა და ამ კონკრეტულმა შემთხვევებმა გამოავლინა, რომ ქვეყანაში არსებობს მთელი რიგი სისტემური პრობლემები სტიქიური მოვლენების ადრეული შეტყობინების სისტემის არარსებობის, მოვლენების მართვისა და სათანადო რეაგირების საკითხებთან მიმართებით. ამასთან, პრობლემურია მსგავსი ტიპის შემთხვევებზე ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიების წარმოება, რაც სავსებით ობიექტურად იწვევს დაზარალებულებისა და საზოგადოების უნდობლობას.[11] გამოძიების დაწყებისთანავე ხელისუფლების წარმომადგენლები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ დანაშაულს არ ჰქონია ადგილი, რაც იმთავითვე აჩენს კითხვებს გამოძიების შედეგების მიმართ. უფრო მეტიც,

[7] „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-10 მუხლის, 1-ლი ნაწილის, „ე“ ქვეპუნქტი.

[8] „მიატოვა თუ არა განსაცდელში სახელმწიფომ მოქალაქეები შოვში? - რა მუხლებით უნდა მიმდინარეობდეს გამოძიება“, რადიო თავისუფლება (16.08.2023), ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/avwX9, ბოლო ნახვა: 18.09.2023.

[9] „არაფერი დაგვიკლია“ - რატომ არ სთხოვა სახელმწიფომ დახმარება მეზობელ ქვეყნებს?“, Bm.ge (10.08.2023), ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/EKRY3, ბოლო ნახვა: 18.09.2023.

[10] “სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-4 მუხლი.

[11] იქვე.

ხელისუფლების წარმომადგენლები არ ერიდებოდნენ შემთხვევის შედეგად დაზარალებულ პირებზე „თავდასხმას“ და მათი მონაყოლის ეჭვქვეშ დაყენებას.[12]

უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა, რომ ამ დრომდე უცნობია, დაინტერესდა თუ არა გამოძიება იმ უწყებების მუშაობის შესწავლით, რომლებსაც არსებული კანონმდებლობით აქვთ მსგავსი ტიპის მოვლენების პროგნოზირების, პრევენციის, საზოგადოების ინფორმირების ვალდებულება. ასევე, საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, გამოძიებას არ შეუსწავლია არც სამაშველო ღონისძიებების ეფექტიანობის საკითხი, მაშინ, როდესაც, გამოძიების მიზანი უნდა იყოს შეისწავლოს, რამდენად შეიძლებოდა სტიქიის პროგნოზირება და მისი მძიმე შედეგების პრევენცია. ასევე, გამოძიება უნდა დაინტერესდეს იმით, თუ როგორ დაგეგმა და წარმართა შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტომ სამაშველო საქმიანობა, რამდენად დროულად და ეფექტიანად მოქმედებდნენ სახელმწიფო უწყებები სტიქიაში მოყოლილი ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად.

ამ დრომდე გამოძიების ყურადღების მიღმაა დარჩენილი შოვში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელებსა და მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა შეიცავდეს სისხლის სამართლის კოდექსის 128-ე (განსაცდელში მიტოვება) და 342-ე (სამსახურებრივი გულგრილობა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ნიშნებს. ამათგან, 342-ე მუხლით გათვალისწინებული საქმეები სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანების თანახმად, პროკურატურის საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება.[13] შესაბამისად, გამოძიების დაწყების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, საგამოძიებო მოქმედებები აწარმოოს არა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, არამედ, საქართველოს პროკურატურამ ტერიტორიული ქვემდებარეობის მიხედვით.

ამასთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი გამოძიების წარმართვა 2019 წლის 23 აგვისტოს, №3 ბრძანების თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება, გენერალურ პროკურორს აქვს უფლებამოსილება გამოძიების წარმართვა სხვა საგამოძიებო უწყებას დაუქვემდებაროს.[14] როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მიერ შესაძლო დანაშაულთა ჩადენა, იმავე უწყების მიერ გამოძიების წარმართვა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს თავად გამოძიების დამოუკიდებლობას. ევროპული

---

[12] მდინარაძე: „ჯელაძე გადავიდა იქიდან, სადაც ტალახის სიმაღლე ამის მინიმალურ საშუალებას მისცემდა“: https://formulanews.ge/News/95784, ბოლო ნახვა: 14.09.2023.

„სპეკულაციებია, თითქოს ერთ-ერთი ბავშვი სამი საათი ებრძოდა ღვარცოფს — კობახიძე“

https://netgazeti.ge/news/684402/, ბოლო ნახვა: 14.09.2023.

[13] სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი.

[14] WMO, “Overview of the Early Warnings for All: Executive Action Plan 2023–2027”, ხელმისაწვდომია: https://public.wmo.int/en/resources/bulletin/overview-of-early-warnings-all-executive-action-plan-2023%E2%80%932027, ბოლო ნახვა: 14.09.2023.

სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, გამოძიების დამოუკიდებლობის მოთხოვნა, მათ შორის, გულისხმობს როგორც ინსტიტუციურ და იერარქიულ, ისე პრაქტიკულ დამოუკიდებლობას.[15]

ამ დროისთვის არსებული მონაცემებით, მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამოა საგამოძიებო ორგანოს მიერ წარმოებული გამოძიება. კერძოდ, იმის მიუხედავად, რომ გამოძიების დაწყებიდან დღემდე გასულია 1.5 თვე, ერთ-ერთი გარდაცვლილი პირის ოჯახს, რომელიც უკვე სარგებლობს დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსით, არ გადასცემია საქმის მასალების ასლები და ნაცვლად ამისა, საგამოძიებო უწყებამ ოჯახს და მის ადვოკატს მასალების უწყებაში გაცნობა შესთავაზა, რაც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე და 57-ე მუხლების შესაბამისად, შესაძლოა მივიჩნიოთ დაზარალებულის უფლებამონაცვლის უფლებების დარღვევად და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის გვერდის ავლად.[16] საქმის მასალების მოცულობიდან და სირთულიდან გამომდინარე შეუძლებელია დაცვის უფლების ეფექტური განხორციელება მხოლოდ მასალების გაცნობით. აქვე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დაზარალებულის სისხლის სამართლის პროცესში ჩართულობა ეფექტიანი გამოძიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რაც ასევე დასტურდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებებით. აღნიშნული, მათ შორის, გულისხმობს გამოძიებისა და მისი შედეგების საზოგადოებრივ ზედამხედველობასა და გამჭვირვალობას, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოს პრაქტიკულ ანგარიშვალდებულებას უზრუნველყოფს.[17]

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებიდან ჩანს, რომ უწყებაში არ არსებობს ამ ტიპის საქმის გამოძიებისთვის საჭირო პროტოკოლები და სტანდარტები, რის გამოც, ხშირ შემთხვევაში, გამომძიებელთა მიერ მოწმეებისთვის დასმული შეკითხვები სამართლებრივი თვალსაზრისით არაა გამართული. კერძოდ, ნაცვლად იმისა, რომ გამოძიებამ გამოკითხოს სტიქიის ზონაში მყოფი ყველა პირი და მოწმეებისგან მიიღოს ფაქტებთან დაკავშირებული სრულყოფილი ინფორმაცია, დასმული კითხვების ნაწილი არის შეფასებითი და იმთავითვე ცხადია პასუხებიც. ჩნდება ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო ცდილობს გამოირიცხოს შესაბამისი უწყების თანამშრომელთა პასუხისმგებლობა.

კრიტიკას ვერ უძლებს სამძებრო ღონისძიებების დროს გვამების პოვნისას განხორციელებული მოქმედებების არათანმიმდევრულობა. კერძოდ, პროცესში სათანადოდ არ იყო ჩართული საგამოძიებო უწყების თანამშრომლები და არ ხდებოდა დოკუმენტურად ფაქტის ფიქსაცია, ფოტო-ვიდეო გადაღება, შედეგად უმრავლეს შემთხვევაში უცნობია გარდაცვლილების პოვნის ზუსტი დრო და ადგილი. ამასთან, არაერთ შემთხვევაში მხოლოდ გარდაცვლილის იდენტიფიცირებისთვის საჭირო კვლევებია ჩატარებული და არა უშუალოდ გარდაცვალების

---

[15] მწვანე ალტერნატივა, „მწვანე ალტერნატივას განცხადება შოვში არსებული სტიქიური გეოლოგიური პროცესების საფრთხის შესახებ გამოქვეყნებული დოკუმენტის თაობაზე“ (06 აგვისტო, 2023), ხელმისაწვდომია: https://greenalt.org/mwvane-alternativas-ganckhadeba-shovshi-ganvitarebul-movlenebze/, ბოლო ნახვა: 15.09.2023.

[16] „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-5 მუხლი.

[17] „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-10 მუხლის, 1-ლი ნაწილის, „ე“ ქვეპუნქტი.

მიზეზთან და დროსთან დაკავშირებული სამედიცინო ექსპერტიზა, რაც გამოძიებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს საკითხს უნდა წარმოადგენდეს, რათა გამოირიცხოს პირის გარდაცვალების კავშირი დაგვიანებულ სამაშველო ღონისძიებებთან. გარდაცვლილების ოჯახების უმრავლესობას არ ჰქონდა ინფორმაცია, თუ რა მნიშვნელობა შეიძლებოდა ჰქონოდა მსგავსი ტიპის ექსპერტიზის ჩატარება საქმისთვის.

- **სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მოვუწოდებთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს გენერალურ პროკურატურას, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს, საქართველოს პარლამენტს შესაბამისად**

1. გამოძიება წარმართოს სწორი კვალიფიკაციით და იგი აწარმოოს გენერალურმა პროკურატურამ;
2. მოხდეს დაზარალებულთა უფლებამონაცვლედ ცნობა და მათი მიეცეთ უფლებების ჯეროვანი რეალიზაციის შესაძლებლობა, მათ შორის, ადვოკატებს მიეცეთ საქმის მასალებზე სათანადო წვდომის შესაძლებლობა;
3. საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდეს დროულად და პერიოდულად მოხდეს საზოგადოების ინფორმირებულობა გამოძიების შედეგებთან დაკავშირებით;

მოვუწოდებთ ხელისუფლებას, **შემთხვევის შესწავლის მიზნით გამოიყენოს საპარლამენტო კონტროლის მექანიზმი;**

3. **დაინტერესებული პირების საჯარო ინფორმაციაზე წვდომა**

შოვში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით რამდენიმე მედია ორგანიზაციამ უკვე მიმართა შესაბამის უწყებებს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით. პრობლემურია საჯარო დაწესებულებების მხრიდან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი, რაც საზოგადოებაში კიდევ უფრო მეტ კითხვას აჩენს სახელმწიფოს მხრიდან ვალდებულებების ჯეროვნად განხორციელების მიმართ.[18]

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით ასევე აღსანიშნავია, მედია საშუალებებს დროის გარკვეულ მონაკვეთში შეზღუდული ჰქონდათ საქმიანობა, ფოტოსა და ვიდეოს გადაღების უფლებას ასევე შეზღუდული ჰქონდათ ადგილზე მყოფ მოხალისეებსაც. მედია საშუალებებში ასევე ვრცელდება ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან გარკვეული შეურაცხყოფა და უარყოფითი დამოკიდებულება შემთხვევის გაშუქებაში ჩართული ჟურნალისტის მიმართ. აღწერილი ფაქტები ზღუდავს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლებას, ამცირებს

[18] https://mtisambebi.ge/news/item/1656-garemos-erovnuli-saagento-shovis-stiqiur-ubedurebaze-sajaro-inpormazias-asaidumloebs

მტკიცებულებათა მოპოვების შესაძლებლობას და შესაძლოა ხელი შეუწყოს საზოგადოებაში უნდობლობის ზრდას სტიქიურ მოვლენასთან დაკავშირებული გამოძიებისადმი.

სტიქიური მოვლენებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის კონტექსტში ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლებას, რომელიც კონვენციის მე-10 მუხლით არის გარანტირებული. ხსენებულ უფლებას კონსტიტუციური რანგი აქვს, კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტი არაორაზროვნად აცხადებს „[...]*ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ.*[...],“ სწორედ ამ უფლების გამოხატულებას წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის „ა“ პუნქტიც, რომლის მიხედვითაც გარემოს შესახებ ინფორმაცია იმ ინფორმაციათა ნუსხაშია შეტანილი, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია. ნორმის მიხედვით *„ყველას აქვს უფლება იცოდეს: ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას„* შესაბამისად სახელმწიფოს ამგვარი ინფორმაციის გაცემაზე განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენა მართებს.

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთია ორჰუსის კონვენციით განმტკიცებულ პროცედურულ უფლებათაგან.[19] მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული უფლება არაერთი სამართლებრივი აქტით არის განმტკიცებული, სოციალურ ქსელსა და მედიაში ვრცელდება ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციული ორგანოები მედია საშუალებას მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას არ აწვდიან.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვით გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაცია მომთხოვნ სუბიექტს სრულყოფილად უნდა მიეწოდოს, ხოლო არაზუსტი და არარელევანტური ინფორმაციის მიწოდება ხსენებულ უფლებაში ჩარევას უტოლდება.[20] ამასთან, სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხზე სამოქალაქო საზოგადოებისა[21] და ჟურნალისტების[22] ინფორმირებულობას.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მოვუწოდებთ ხელისუფლებას

1. **შეწყდეს მედია საშუალებების წარმომადგენლებსა და დარგის ექსპერტებზე თავდასხმა და მათი დისკრედიტაცია;**

---

[19] იხ. „გარემოს დაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მე-4 მუხლი.

[20] Association Burestop 55 and Others v. France, no. 56176/18, 2021.07.01, § 85.

[21] Cangı v. Turkey, no. 24973/15, 2019.01.29.

[22] Rovshan Hajiyev v. Azerbaijan, nos. 19925/12 and 47532/13, 2021.12.09, §§ 65-67.

2. მედია საშუალებებს კანონით დადგენილ ვადებში სრულად მიეცეთ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია;
3. შესწავლილ იქნეს ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო ჩართო სტიქიური მოვლენების მართვასთან დაკავშირებით და დაიწყოს სისტემური მუშაობა სტიქიების ადრეული შეტყობინების სისტემების შექმნის მიზნით.